

## საქართველოს კანონი

### „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №36, 04.08.2006 წ. მუხ. 260) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მავნებლების, დაავადებებისა და სარველებისაგან მცენარეთა დაცვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ აგროტექნიკური, მექანიკური, თერმული და ბიოლოგიური მეთოდებით და ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული ნივთიერებების გამოყენებით;“

2. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული ნივთიერებების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან შეთანხმებით.“

3. 17-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2007 წლის 1 დეკემბრამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან შეთანხმებით, გამოსცემს ბრძანებას ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული ნივთიერებების ნუსხის შესახებ.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი